# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20 (9.734)

28 მაისი-4 ივნისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა




გვ.3

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: – მიხარია, რომ მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს და იმედიანად უყურებს მომავალს.

## „წარმოებულია დედოფლისწყაროში“

## მუნიციპალიტეტი მეწარმეების მხარდასაჭერად



გვ.8



გვ.5

## „სინდისი და პატიოსნება დემოკრატიის ფუნდამენტური საყრდენია!“

## სამშობლოში დაბრუნებულნი...

ლევან ბაშარული:



გვ.3

„უწყლოობას გავექეცით. ახლა კი 24 საათიან რეჟიმში გვაქვს წყალი რამაც მიბიძგა, უკან დავბრუნებულიყავი. არც ბანკის დახმარება არ დამჭირვებია“

26 მაისი

ეს დღე ჩვენია

გვ.6

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

## ღვინოები და მათი დასახელებები ჩემი რაიონის სოფლებში

გვ.4



# პრემიერმა, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად, ზუგდიდში, გიგა ოთხოზორიას ოჯახს მიუსამძიმრა

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხურჩაში, საოკუპაციო ხაზთან მოკლული გიგა ოთხოზორიას ოჯახს მიუსამძიმრა. მთავრობის მეთაური ზუგდიდში მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. გიორგი კვირიკაშვილთან ერთად მოკლულის ოჯახს სამძიმარი ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა, სასჯელაღსრულების მინისტრმა კახა კახიშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა გამოუცხადეს.

## აშშ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს ულოცავს

„მე ვულოცავ ქართველ ხალხს ამ საამაყო დღეს და მომავალშიც ველი დაცულ, დემოკრატიულ და დამოუკიდებელ საქართველოსთან ჩვენი პარტნიორობის გაღრმავებას“, - აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებაში. კერი საქართველოს მოქალაქეებს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს პრეზიდენტ ობამასა და ამერიკელი ხალხის სახელით ულოცავს.

„26 მაისს აღვნიშნავთ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის საუკუნის მეოთხედს. ჩვენ საქართველოს ვხედავთ, როგორც რეგიონში დემოკრატიული პროგრესის მოწინავე მაგალითს - ეს მიღწევა მეტად აღსანიშნავია იმ დროს, როდესაც თქვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია. ჩვენ მადლიერნი ვართ საქართველოს პარტნიორობისა და მსხვერპლისათვის ავღანეთში, ამ ერისა და რეგიონის უკეთესი მომავლის მხარდასაჭერად“, - ნათქვამია განცხადებაში.

მილოცვაში აღნიშნულია, რომ აშშ ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, აგრეთვე, მის მისწრაფებას, გაწევრიანდეს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 25 დეკემბერს ცნო. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა კი 1993 წლის 29 მარტიდან დამყარდა.

## საარჩევნო უბანზე ძალადობა ან ძალადობის მუქარა სისხლის სამართლებრივი წესით დაისჯება

იუსტიციის სამინისტრომ, პრემიერ-მინისტრის დავალებით, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება მოამზადა. კანონპროექტის თანახმად, კოდექსს დაემატება ახალი მუხლი, რომელიც სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადს გახდის ძალადობას, ან ძალადობის მუქარას საარჩევნო უბანზე, წინასაარჩევნო აგიტაციის ან კამპანიის ადგილას, ან მათ მიმდებარედ.

იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, მუხლი სხვადასხვა ნაწილისგან შედგება: ჯგუფური დანაშაულის დროს გათვალისწინებული იქნება ოთხ წლამდე პატიმრობა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირს ფიზიკური დაზიანება არ მიუღია, გათვალისწინებული იქნება ჯარიმა ან/და ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ცვლილების პროექტს საქართველოს მთავრობა 27 მაისის სხდომაზე განიხილავს.

## დაიწყო მუნიციპალიტეტებში მოხალისეთა შერჩევა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, მოხალისეობის განვითარების პროგრამის „საქართველოს მოხალისე“ ფარგლებში, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მოხალისეების შერჩევის კონკურსს აცხადებს.

კონკურსის პირველ ეტაპზე პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდებმა 17 აპრილამდე რეგისტრაცია ვებ გვერდზე youth.gov.ge/home უნდა გაიარონ.

კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან მოხდება გასაუბრება, რის შედეგადაც თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოვლინდება 2 გამარჯვებული და პროგრამის ფარგლებში გაფორმდება მოხალისეობის ხელშეკრულება.

პროგრამაში მონაწილე მოხალისეებს საშუალება ექნებათ: გაიარონ 5 დღიანი ტრეინინგ-სემინარი. ტრეინინგ კურსის დასრულებისას თითოეულ მოხალისეს მიენიჭება „საქართველოს მოხალისის“ სტატუსი.

ტრეინინგ კურისის დასრულების შემდეგ „საქართველოს მოხალისეები“ საკუთარ მუნიციპალიტეტში, უშუალოდ განახორციელებენ მოხალისეობრივ საქმიანობას, ჩაატარებენ წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებებსა და საკუთარ ინიციატივებს, ყოველთვიურად შეადგენენ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს რის საფუძველზეც გამოვლინდებიან წლის საუკეთესო მოხალისეები.

მოხალისეები საკუთარი ინიციატივის და მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე ანხორციელებენ ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა: მოხალისეთა კლუბის შექმნა, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საქველმოქმედო საქმიანობა — სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანების დახმარება, ფილმების ჩვენება, უცხო ენის კურსების გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია (სპორტული შეჯიბრებები, მარათონები), შშმ ბავშვების ინტეგრაცია, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა.

კახეთის რეგიონში მოხალისეთა შერჩევას განახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდი“.

## მეწარმეების და არასამეწარმეო იურიდიული პირების ელექტრონული სააღრიცხვო ბარათები შეიქმნება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების შექმნის პროექტს იწყებს. დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შედარებას, არაზუსტი და ხარვეზიანი მონაცემების გასწორებას, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის დასკანერებასა და თითოეული იურიდიული პირისთვის სრულყოფილი ელექტრონული სააღრიცხვო ბარათის შექმნას.

პროექტის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში 2010 წლამდე რეგისტრირებული 122 464 იურიდიული პირის საქმე დამუშავდება, რაც 7010 ბაინდერს შეადგენს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, პროექტის განხორციელების შედეგად აღმოიფხვრება ყველა ის ხარვეზი, რომელიც არასისტემატიზებული არქივისა და ელექტრონული მონაცემთა ბაზებით არის გამოწვეული.

„გაიზრდება საჯარო რეესტრის სერვისების ხარისხი, შესაძლებელი გახდება ადმინისტრაციული ორგანოებისა და კერძო სექტორის უტყუარი და ზუსტი მონაცემებით უზრუნველყოფა“, - აღნიშნეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, თითოეულ იურიდიულ პირზე ციფრულ ფორმატში გადატანილი საარქივო დოკუმენტაცია საჯარო რეესტრის ვებგვერდზე www.napr.gov.ge განთავსდება და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

იურიდიულ პირთათვის ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების შექმნის პროექტის დასრულება 2019 წლისთვის არის დაგეგმილი.

## სოფლის მეურნეობის სამინისტროში მეცხვარეებთან შეხვედრა გაიმართა

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ პირებთან ერთად, მეცხვარეობის დარგის წარმომადგენლებს შეხვდა. დანელიას თქმით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონში მიმდინარეობს ცხოველების სავალდებულო ვაქცინაცია ისეთ დაავდებებზე, როგორიცაა ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, თურქული და ჯილეხი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ოპერატიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად თავიდან იქნა აცილებული წვრილფეხა პირუტყვის ჭირის გავრცელება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე წლის დასაწყისში დაფიქსირდა. უახლესი მონაცემებით, მილიონ 400 ათასი სული პირუტყვია ვაქცინირებული.

მეცხვარეებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და აღინიშნა, რომ თანამშრომლობა და მხარეებს შორის აქტიური კომუნიკაცია მომავალშიც გაგრძელდება.

„მეცხვარეობის დარგის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს დარგის წარმომადგენლებთან. ცხოველთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საქართველოს, როგორც კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯის დამკვიდრებას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას. აღსანიშნავია, რომ გაფართოვდა ექსპორტის გეოგრაფიული არეალიც,“ - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

მისივე თქმით, 2015 წლის ნოემბრიდან მიმდინარეობს წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 100 ათასამდე ცხოველია იდენტიფიცირებული. წლის ბოლომდე 700 ათასი პირუტყვის იდენტიფიკაციაა დაგეგმილი, რაც ცხოველის მიკვლევადობას და ექსპორტის წახალისებას შეუწყობს ხელს.

2015 წელს ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე მოეწყო 2 ბიოუსაფრთხოების პუნქტი. ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია 8 ასეთი პუნქტის აშენება. გადასარეკ ტრასებზე ბიოუსაფრთხოების პუნქტების მოწყობა ცხოველების ჯანმრთელობის დაცვას და დაავადებების გავრცელების შემცირებას შეუწყობს ხელს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წელს 28 500 სული ცხვრის ექსპორტი განხორციელდა არაბეთში, საუდის არაბეთსა და ეგვიპტეში. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტეში პირველად გავიდა ქართული ცხვარი. ქართული ცხვრით დაინტერესდა ბაჰრეინის სამეფოც. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარკებების პროცესი.

## ბაჰრეინის სამეფო ქართული ცხვრით დაინტერესდა

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, საქართველოს მთავარი ვეტერინარი მიხეილ სოხაძე ბაჰრეინის სამეფოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოდან ბაჰრეინის სამეფოში ცხვრის ექსპორტის საკითხებზე იმსჯელეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დელეგაციის წევრებმა იმედი გამოთქვეს, რომ ტექნიკური საკითხებისა და ვეტერინარული სერტიფიკატების შეთანხმების შემდეგ, ქართული ცხვრის ექსპორტი ბაჰრეინის სამეფოში უმოკლეს ვადაში იქნება შესაძლებელი.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ქართული ცხვრის ახალ საექსპორტო ბაზარზე გასვლა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია და დადებითად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე მეცხვარეობის დარგის განვითრებაზე.

მათივე ინფორმაციით, ბაჰრეინის სამეფოს დელეგაციის წევრები საქართველოდან სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ექსპორტის შესაძლებლობებითაც დაინტერესდნენ.

## სიღნაღის თეატრს ლივერპულის საერთაშორისო ფესტივალზე სამი პრიზი მიანიჭეს

სიღნაღის თეატრს კანადაში, ლივერპულის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სამი პრიზი მიანიჭეს. დადგმამ - „მოხეტიალე დასი“, პრიზები საუკეთესო სპექტაკლისა და მაყურებლის რჩეულის ნომინაციაში აიღო. ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად კი ნანა ბუკია დასახელდა.

სპექტაკლი „მოხეტიალე დასი“ რეჟისორმა მურად ვაშაკიძემ გურამ ბათიაშვილის პიესის მიხედვით დადგა. სპექტაკლში წარმოდგენილია ქართული რიტუალები, როგორიცაა ქორწილი, ბავშვის დაბადება, მრავლადაა გამოყენებული ხალხური პოეზიის ნიმუშები და ძირითადად ფოლკლორზეა აგებული.

„ემოციები ჯერ არ ჩამცხრალა, ამისთვის ნამდვილად ღირდა წვალება. დანაპირები შევასრულეთ, დიდი კონსტანტინესი არ იყოს: „ჩვენ დავიბადეთ პატარა მდინარის პირას. ვებრძვით და ვიმარჯვებთ დიდი მდინარის პირას დაბადებულებზე“,- წერენ სიღნაღის თეატრის მსახიობები ოფიციალურ გვერდზე.

ფესტივალი წელს მეცამეტედ გაიმართა და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური დასები მონაწილეობდნენ.



ანონსი

## პოეზიის მოყვარულთათვის

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, პოეტის, მწერლის და პუბლიცისტის და გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ დამფუძნებლის და მთავარი რედაქტორის ეთერ ფაცურიას შემოქმედებას კარგად იცნობენ დედოფლისწყაროელები, იგი შვიდი წიგნის ავტორია, სულ ახლახანს გამოიცა მისი მერვე წიგნი „იათამზე“ (რედაქტორი დარეჯან კაპანაძე). სულ მალე გამოიცემა მისი მეცხრე წიგნი – ლექსების კრებული „მუხის ფოთლები“ გთავაზობთ ამ კრებულიდან ერთ ლექსს:

**დაწნული დაფნა**

როგორ მინდოდა<br>
ლურჯ ზღვაზე წუხელ<br>
გამევლო ნავით<br>
მთვარის სიცილში.<br>
მემღერა ზღვისთვის,<br>
დაწნული დაფნა<br>
მხვეოდა ყელზე<br>
და მხურებოდა<br>
ნაზ ყვავილებით<br>
მორთული ქუდი...

# დედოფლისწყაროს გამგებელმა დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

ქ. დედოფლისწყაროში, N3 ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, დასრულდა მინი სპორტული მოედნის და ბავშვთა გასართობი ატრაქციონის მშენებლობა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაათვალიერა დასრულებული სამუშაოები და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ასევე დასრულდა ა. ნატროშვილის ქუჩის და სკოლის ქუჩის ასფალტის მოწყობა, გამგებელი ამ ქუჩების მოსახლეობასაც შეხვდა და მათი მოსაზრებები მოისმინა.

„ჩვენ განვაგრძობთ დაპირებების შესრულებას, წინასაარჩევნოდ გომელაურის ქუჩის მაცხოვრებლებთან შეხვედრისას მოსახლეობას დავპირდით, რომ მათი ბავშვებისთვის აუცილებლად გავაკეთებდით სტადიონს და დავდგამდით ატრაქციონებს. აღნიშნული დაპირება დღეს შევასრულეთ და ერთად გავიზიარეთ ის სიხარული, რომელიც დიდსაც და პატარასაც მოგვიტანა ამ ახალმა ნაგებობებმა. ასევე მნიშვნელოვანია ახალი საავადმყოფოს მიმდებარე ნატროშვილის და სკოლის ქუჩების მოასფალტება, რადგან ამ ინფრასტრუქტურულმა სამუშაოებმა მთლიანად გამოაცოცხლა და ახალი სიცოცხლე შთაბერა მიმდებარე ტერიტორიას, მიხარია, რომ მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს და იმედიანად უყურებს მომავალს. უახლოეს დღეებში ამ ქუჩებზე დაიწყება გარე განათების მოწყობა, რაც უფრო მეტ ელფერს შესძენს გაკეთებულ საქმეს და ახალი საავადმყოფოს გახსნისას ჩვენ შევხვდებით სრულიად განახლებული ინფრასტრუქტურით. ჩვენი ხელისუფლება განაგრძობს დაპირებების შესრულებას და წელს დედოფლისწყაროში კიდევ არაერთი ქუჩა მოასფალტდება, მოეწყობა გარე განათება“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.







# სამშობლოში დაბრუნებულნი...

**ქედების ზონაში წყალმომარაგების სისტემის განახლების შემდეგ მიგრაციაში მყოფმა ოჯახებმა სოფელში დაბრუნება დაიწყეს... „შირაქმა“ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ახლახან, რამდენიმე ოჯახი სოფელს დაუბრუნდა და წყლის არსებობით დაიმედებულებმა უკვე სამეწარმეო საქმიანობასაც მოჰკიდეს ხელი.**

40 წლამდე ასაკის ლევან ბაშარული ორი შვილის მამაა. მას სოფელ ზემო ქედის დატოვება რამდენიმე წლის წინ მოუხდა. ოჯახის სარჩენად ჯერ საბერძნეთში, შემდეგ კი თელავში ცხოვრობდა. ამბობს, რომ გაცილებით ნაყოფიერი მიწაა ზემო ქედში, ამიტომ, რამდენიმე თვის წინ გადაწყვიტა თელავიდან კვლავ ზემო ქედში, მიტოვებულ სახლს დაბრუნებოდა. ამჟამად ეზოში უზარმაზარი სათბურის მშენებლობითაა დაკავებული. აპირებს ბოსტნეული მოიყვანოს.

„ბოლო ხანს, იძულებული გავხდი, ცოლეულებთან, თელავში გადავსულიყავი. სოფლის მეურნობას მივდევდი, ბოსტნეული მომყავდა, მაგრამ იქ პატარა მიწის ნაკვეთი მქონდა. გაცილებით დიდი ფართი და უფრო ნაყოფიერი მიწა ჩემს სოფელში მაქვს, მაგრამ თავის დროზე უწყლოობას გავექეცით. ახლა კი 24 საათიან რეჟიმში გვაქვს წყალი, რამაც მიბიძგა, უკან დავბრუნებულიყავი. არც ბანკის დახმარება არ დამჭირვებია, რომ ეზოში სათბური მომეწყო. შედუღება და სხვა სამუშაოებიც მეხერხება და ყველაფერს საკუთარი ხელით ვაკეთებ... ეს რკინის კონსტრუქცია თავად ავაშენე, საჭირო მასალებიც დამოუკიდებლად შევიძინე. ამ წლების განმავლობაში ბოსტნეულის მოსაყვანად საჭირო წესები და ვადები საკმაოდ კარგად ავითვისე და მშვენივრად ვერკვევი, როდის რა პროცედურაა საჭირო. სათბურს სულ მალე დავასრულებ. ცელოფანი უკვე გადაფარებული მქონდა, თუმცა ახლახან ძლიერი ქარი რომ იყო, ისევ გადახადა. ჩითილი უკვე დათესილი მაქვს, რომელსაც შემდეგ ამ სათბურში გადავრგავ. ზაფხულის ცხელ დღეებში მორწყვის პრობლემა რომ არ შემექმნას, სათადარიგო 25 ტონიანი ავზი მაქვს, რომელიც 4-5 დღის განმავლობაში მომამარაგებს წყლით. ადგილობრივი ხელისუფლება მპირდება, რომ წელს ისეთი შემთხვევა არ იქნება, რომ წყლის მიწოდება ხუთი დღით შეფერხდეს. იმედიანად ვარ და დიდი ენთუზიაზმით მოვეკიდე საქმეს. ჩემი დანაზოგით წამოვიწყე ეს საქმე და ბედნიერი ვარ, რომ საბანკო კრედიტების დახმარება არ დამჭირვებია, შესაბამისად დამატებითი პროცენტები არაფერში მაქვს გადასახდელი. ეს კი იმის გარანტიაა, რომ გაცილებით მეტ სარგებელს ვნახავ“.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ლევან ბაშარული ერთადერთი არ არის, რომელიც ზემო ქედში სასათბურე მეურნეობას პერსპექტიულ ნაბიჯად მიიჩნევს. ამავე საქმიანობით დაკავდა კიდევ ერთი ადგილობრივი გიორგი ქამურელი, რომელიც ამჟამად სათბურს მეგობრებთან ერთად აშენებს და შემოდგომაზე კარგ მოსავალს ვარაუდობს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ათწლეულების მანძილზე ქედების ზონაში წყალმომარაგების პრობლემა მწვავედ იდგა. ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა, რომ სასმელი წყალი ყველა ოჯახში უწყვეტად მოდის და ამ სამ სოფელში ვითარება გაუმჯობესებულია. ამ ფონზე იმედისმომცემია ისიც, რომ წყლის სისტემის დათვალიერების დროს, შემთხვევით გავიგე, რომ ადგილობრივების ინიციატივით, რამდენიმე სათბურის მშენებლობა მიმდინარეობს. ქედების ზონას „უწყლო ქვეყანას“ უწოდებდნენ და ამ ფონზე, როცა ამას ვხედავთ, ეს ძალიან დიდი იმედია. საკმაოდ დიდი ფართია, 660-680 კვადრატულ მეტრზე მოაწყვეს ეს სათბურები, წინა წლებში წყლის არარსებობის გამო ამგვარი საქმიანობის დაწყება წარმოუდგენელი იყო, დღეს კი მეწარმეებს სტიმულიც მიეცათ და შესაძლებლობაც. ანუ, გარდა იმისა, რომ მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა მოუგვარდა, ეს პროექტი ეკონომიკური სარგებლის მომტანიც აღმოჩნდა, რადგან მეწარმეობას მოჰკიდეს ხელი. ადგილობრივი ხელისუფლება ყველანაირად გვერდით დაუდგება ამგვარ ინიციატივებს და მშრომელ ხალხს და ვეცდებით, ყველანაირად ხელი შევუწყოთ, რომ გაძლიერდნენ. ვიცით, რომ სათბური მომგებიანი ბიზნესია, პროდუქციის რეალიზება ადგილზევე შეიძლება მოხდეს. ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, სრული დატვირთვის შემთხვევაში, როცა მეპატრონეები ფინანსურ სარგებელს ნახავენ, გადამდები აღმოჩნდება თანასოფლელებისთვის და სხვა ოჯახებიც იფიქრებენ ამ საქმიანობის დაწყებაზე. სულ მალე, მესათბურეობა ფეხს მოიკიდებს ამ სოფლებში. ასე რომ, ერთ კარგ საქმეს ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა და სხვა სფეროების გამოცოცხლებაც მოხდა“.

ბექან სუხაშვილი **(გამგებლის წარმომადგენელი ზემო ქედში):** „ახალი სისტემით სოფელ ზემო ქედში წყლის დაქსელვა ბოლო ორი წელია კეთდება. მასიურად, ყველა უბანში შევიდა პლასტმასის ახალი მილები. წრიული ქსელი შეიკრა და უკეთესი დინებით მოდის, მანამდე წნევის პრობლემა იყო. მრიცხველები დამონტაჟდა და ყველა ოჯახმა ინდივიდუალურად გაიყვანა. საბედნიეროდ, ყოველდღიურად, 24 საათით მოგვეწოდება. წყლის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტეთ. 120 წელია, ჩვენი სოფლები არსებობს, მაგრამ მუდმივად წყლის პრობლემა იყო. კომუნისტების დროსაც არ ყოფილა ყველა უბანში 24 საათიანი წყალმომარაგება და ეს ახლა მოხერხდა. სამ სოფელს ერთი რეზერვუარი ემსახურება, რომელიც სოფელ არხილოსკალოში მოეწყო და იქიდან ნაწილდება. ხარისხიანი წყალია, პრეტენზიები არ აქვთ და კმაყოფილებას გამოთქვამენ. წელს დასრულდა გამოტოვებული უბნებში დაქსელვაც და ამჟამად სრულად მოიცვა სოფელი. კრიზისი არსად აღარ გვაქვს.“





წყალმომარაგების გაუმჯობესებით კმაყოფილებას არ ფარავენ სოფლის დანარჩენი მაცხოვრებლებიც. ისინი, ვინც მეურნეობას არ მისდევს, იმ დროს იხსენებენ, როცა უწყლოობით იყვნენ გაწამებულნი.

„თუკი მომავალშიც მუდმივი მომარაგება შენარჩუნდება, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში, სიამოვნებით გადავიხდით გადასახადს, რასაც მრიცხველი დაწერს. იმხელა ბედნიერებაა გრაფიკის გარეშე წყალმომარაგება, მთავარია მოგვაწოდონ და გადახდაზე პრობლემას არავინ შექმნის. რამდენი წელია აქ ვცხოვრობთ და სულ პრობლემა იყო, ისე ვწვალობდით, ენით ვერ აღვწერთ. მხოლოდ კვირაში ერთხელ მოგვეწოდებოდა, ისიც ორი საათის განმავლობაში. ძირითადად წვიმის წყალს ვხმარობდით. აქამდე ჭურჭელი სულ წყლით გვქონდა ავსებული და მარაგს ვინახავდით, ძველდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა, მაინც ყველაფერს ვავსებდით, ახლა იმედიანად ვართ და ჭურჭელს წინასწარ აღარ ვავსებთ, ახალ-ახალ წყალს ვიყენებთ. ძალიან კმაყოფილი ვართ, რომ მრიცხველის გადასახადიც თვეების მიხედვით გადაანაწილეს და ასე ვფარავთ, შეღავათი მოგვეცა,“ - ამბობენ ზემო ქედის მაცხოვრებლები.

ილია მარტყოფლიშვილი

# ღვინოები და მათი დასახელებები ჩემი რაიონის სოფლებში

ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დღეისთვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობასა და ღვინის წარმოებაზე მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე დაახლოებით 7000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს. საქართველოში ღვინის არსებობაზე წერილობითი ცნობები დაცულია ბერძნულ, სპარსულ და ქართულ წყაროებშიც. ქსენოფონტე (ძვ. წ. V ს.) წერს, რომ კოლხების ღვინო "სურნელოვანი და საამო" იყო. სტრაბონის (ძვ. წ. I ს.) ცნობით, იბერიაში ყურძენი ფართოდ გავრცელებული ყოფილა და ვაზის ისეთი მოსავალი მოდიოდა, მოსახლეობას მისი სრულად მოხმარება არ შეეძლოო. პროკოფი კესარიელი (VI) გვიამბობს: : "მესხები შრომისმოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყნებში გასაყიდად". ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა, ვინაიდან ცხადი ხდება, რომ ძველ მესხებს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული მეზობელ ქვეყნებთან და ადგილობრივი პროდუქტი ექსპორტზე იგზავნებოდა. გარდა ამისა, გემო ერთ-ერთი ყველაზე რთული გადასაადგილებელი პროდუქტია და, თუ სათანადოდ არ მოეპყარი მას, გაგიფუჭდება. აქედან გამომდინარე, გაკვირვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოში თერმოსის ტიპის ქვევრები არსებობდა და შესაძლოა, მათი მეშვეობითაც ხდებოდა მსგავსი ტიპის ექსპორტიზაციაც.

რამდენიმე ხნის წინ ჩემი თანასოფლელის, საზღვარგერეთ მცხოვრები ილია მეხრიშვილის პირად საიტზე ასეთი დოკუმენტური მასალა აღმოვაჩინე, მასალა იოსებ ნონეშვილის წიგნიდან იყო ამოსურათებული და ჩემი მშობლიური სოფლის ღვინოების ისტორიას ყვებოდა. გავოცდი, საზღვარგარეთ მყოფ ქართველს ისე აინტერესებს ჩვენი ღვინოები და ისე რიგად იცის მისი ფასი, რომ ვგონებ ჩვენ დაგვვიწყებია თუ რა საგანძურს ვფლობთ. ხოდა, ამ ბიჭის ერთმა პატარა მარცვალმა ისე გამომიწვია, რომ მივყევი და კარგი კვლევა გამომივიდა ჩვენი კუთხის ღვინოებზე. და მართლაც, თუკი ვინმეს ჩვენი ღვინოები, ვაზის ჯიშები და მათი გადარჩენა აინტერესებს, ჩვენ რატომ არ უნდა ვიცავდეთ და ვუფრთხილდებოდეთ მას?! მეც მივყევი და დავინტერესდი იმით, თუ რა საგანძური ჰქონია ჩემს მშობლიურ სოფელს, რომლის ფასიც, შესაძლოა, არც იცოდნენ ისე რიგად ჩვენში.

ნონეშვილს ჩვენი ვაზის ჯიშები და ღვინოების დასახელებები ეთნოგრაფიულ საფუძვლებზე, ხალხისგან შეუკრებია და წიგნში „ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში" აღუნუსხავს, მისი გვერდების ერთ ფურცელზე ვკითხულობთ:

**„ოქროულა"** -თეთრია, რქა, ფოთოლი და მარცვლები მსხვილი ჰქონია, „დამწიფებული იგეთია, როგორც ოქრო, ეგეთი ყურძენი ერევანში მინახავს, სხვაგან არსად"-ო, მიუთითბს გორა ალექსნდრეს ძე გარსენიშვილი(ს.ოზაანი) ჩვენც ამ ჯიშის ვაზი მხოლოდ სოფელ ოზაანში დავადასტურეთ.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს თავის „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში" კახეთის ვაზის ჯიშებთან ერთად აღნიშნული აქვს „ოქროს ყურძენი", სტეფანე მენთეშაშვილს თავის „ქიზიყურ ლექსიკონშიც" იგივე სახელი გამეორებული აქვს. „ოქრო ყურძნად" შეიძლება აკადემიკოს ივ.ჯავახიშვილის მიერ დასახელებული კახეთის ვაზის ჯიში „ოქროს-ყურძენი" და სტეფანე მენთეშაშვილის „ოქრო ყურძენი" სოფელ ოზაანში (წითელწყაროს რაიონი) გავრცელებული ვაზის ჯიში „ოქროულა" იყოს." აქვე მითითებული და აღწერილია მეორე დასახელების ყურძენი, ესიც კონკრეტულად სოფელ ოზაანში, ეს გახლავთ ქინწურა. **„ქინწურა"** შავია, როგორც მოსე ქურხულიშვილმა გადმოგვცა, ქონწურა მხოლოდ სოფელ ოზაანში (წითელწყაროს რაიონი) გვხვდება და ისიც მცირე რაოდენობით, მისი თქმით რქა და ფოთოლი მწვანე აქვს საფერავივით, ქინწურა ვაზის ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება ის ყოფილა, რომ მას „ორჯერ დამწიფება ახასიათებს თურმე, ერთი ნაწილი რომ მოიწევა, ჯერ იმაი დაიკრეფამენ, მერე ახლა სხვა მაიწევა და იმასაც დაიკრეფამენ"-ამბობენ ქიზიყელები." -წერს თავის ეთნოგრაფიულ წიგნში იოსებ ნონეშვილი, რომელსაც ჩანს კარგად უმუშავია და სოფელში ხალხის გამოკითხვით შეუსწავლია ყურძნის ჯიშები. ეს აშკარაა, რადგან ის ციტირებს ხალხის ენით, მოსე ქურხულიშვილი კი, ნამდვილად ოზაანელი კაცი იყო და ის სოფელში ხალხურ მთქმელადაც იყო ცნობილი. მისი სიტყვა ნაღდი და სარწმუნო იყო იმ დროისაც და ამ თაობის ხალხშიც ფასობს მისი თითოეული თქმული. კიდევ ერთი ღვინო, რომელსაც ასახელებს ნონეშვილი ეს გახლავთ ობაყლური. **„ობაყლური"** თეთრია, სტეფანე მენთეშაშვილის აზრით „ობაყალი" ნაწარმოებია ადგილის სახელისგან, ობაყალი (სოფ. ბოდბისხევის ბოლოზე, სადაც მშვენიერი ვენახები იყო) ვაზის ჯიშია, ხიხვსა ჰგავს, მოყვითალო ყურძენი იცის, კარგია, ისეთი ფოთოლი აქვს, რომ „მტკაველი არ გასწვდება", რქაც სქელი აქვს, გვიან მწიფდება, გავრცელებულია სოფელ ოზაანსა და არბოშიკში." - ასეთი დახასიათება იოსებ ნონეშვილის მიერ მიგვანიშნებს იმას, რომ მას კარგად შეუსწავლია სოფლებში ღვინის სახეობები და ვაზის ჯიშები. ისეთ პატარა სოფელში კი, როგორიც ოზაანია, სამი სახეობის ღვინო, ნამდვილად დიდი განაცხადია. თუმცა, ფაქტია, რომ ოზაანს ბევრი ადგილები აქვს, სადაც ხალხს ვენახები აქვს გაშენებული, იყო ოზაანის ტბების პირას, ის ვენახები წლების მერე წყლით დაიფარა. ვენახები აქვთ ნაქოხრების ძირას ტერიტორიებზე, სამების ძირას, ოქრაანის ტერიტორიაზე, სადაც მართლაც ოქროსავით ყურძენი მოდის და ღვინოც იაზმასავითაა, პირიდან ვერ მოიხსნი, ნონეშვილის დასახელებული ოქროულა, სწორედ ოქრაანის ადგილების ღვინოა, რომელიც დღეს სოფელში „ოქრაანის ღვინის" სახელწოდებით უფრო დამკვიდრებული. ოზაანელები იმკიან ხირსის ღვინოსაც, რომელიც ოქრაანის ღვინოსთან შედარებით მძიმე დასალევია და მალე ათრობს ადამიანს. ამაღლების ტყის პირას, ეგრეთწოდებულ ვაკის ტერიტორიაზეც, არის თურმე შემორჩენილი ვაზები, ხალხის აზრით, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ აქ ადრე სამონასტრო ცხოვრება იყო და მრევლი იქ იწევდა საბარძიმე ყურძენს. ისე რომ, ამაღლების პირას მოწეული ყურძნის ღვინოც თავისი გემოვნებით გამოირჩოდა. ასე დამკვიდრდა სხვადასხვა ვაზის ჯიშებისგან სხვადასხვა ღვინოების სახელები ამ სოფელში. ასე, რომ ოზაანის ღვინოების დასახელებები, სხვა სოფლებთან შედარებით, მდიდრულად გამოიყურება: – „ოქრაანის ღვინო", „ამაღლების ღვინო", „სამების ტყის ღვინო", „ბულაყების ღვინო", „ხირსა", „გედიქის ფერდობების ღვინო".

საინტერესოა, რა მდგომარეობაა დანარჩენ ისტორიულ სოფლებში, კერძოდ არბოშიკში, მაჩხაანსა და სამრეკლოში. ამ სოფლების ხალხს უჭირს ღვინოების მრავალფეროვნებაზე საუბარი, მაგრამ ერთი კია ცნობილი, არბოშიკელები გზირიანის ადგილებში მოწეული ყურძენისგან დაყენებულ ღვინოს, რომელსაც ოჯახურ პირობებში ქვევრებში აყენებენ, გზირიანის ღვინოს ეძახიან, რომელიც, ოქრაანის ღვინის მსგავსად , მსუბუქი და უგემრიელესი დასალევია. არბოშიკელებს აქვთ მეორე ძირითადი ღვინო,- „ხირსა", რომელსაც შედარებით მძიმე დასალევს უწოდებენ. მაჩხაანელები ყურძენს ხირსაზე და ქუმბათში იწევენ, ამიტომ ერთ ღვინოს, ხირსაში მოკრეფილი ყურძნისგან დაყენებულ ღვინოს, ხირსისას ეძახიან, ხოლო ქუმბათში დაკრეფილს - ქუმბათისას.

მთლიანობაში ამ ეტაპზე ჩვენი სოფლების ღვინოების დასახელებებს, სადაც მოიწია ყურძენი იმ ადგილების მიხედვით განსაზღვრავენ და არა მათი ჯიშების მიხედვით:

მაჩხაანის ღვინოები,-ხირსა, ქუმბათი

არბოშიკის ღვინოები- გზირიანი, ხირსა

დედოფლისწყაროს ღვინოები-სამრეკლო, ხირსა, სამთაწყარო.

სამრეკლოს ღვინოები-ენამთის ღვინო და ტარიბნის ღვინო.

თუ დავეყრდნობით ადრინდელ მონაცემებს, ჩვენი მხრის ღვინოები ბევრად მრავალფეროვანი გახლდათ და ამ მრავალფეროვნებით მდიდრებიც ვიყავით. მივყვეთ ქრონოლოგიას.

დღეს ქართული სამარკო ღვინოები ასე გამოიყურება

სუფრის მშრალი ღვინოები: წინანდალი (თეთრი), გურჯაანი (თეთრი), ნაფარეული (თეთრი), ბახტრიონი (თეთრი), მანავი (თეთრი), ვაზისუბანი (თეთრი), ციცქა (თეთრი), ცოლიკაური (თეთრი), რქაწითელი (თეთრი), ტიბაანი (თეთრი), თელავი (თეთრი), სვირი (თეთრი), სამება (თეთრი), თელიანი (წითელი), ნაფარეული (წითელი), ყვარელი (წითელი), მუკუზანი (წითელი),

სუფრის მშრალი ორდინალური ღვინოები: ჰერეთი (თეთრი), გარეჯი(თეთრი), გელათი (თეთრი), კახეთი (თეთრი), დიმი (თეთრი), ბოდბე (თეთრი), შუამთა (თეთრი), საფერავი (წითელი),

ნახევრადმშრალი ღვინოები: აგუნა (თეთრი), საჩინო (წითელი), მთაწმინდა (წითელი), ანაკოფია (თეთრი), თბილისური (თეთრი), ფიროსმანი (წითელი), ბარაკონი (წითელი).

ნახევრადტკბილი ღვინოები: ახმეტა (თეთრი), ტვიში (თეთრი), თეთრა (თეთრი), ჩხავერი (თეთრი), სავანე (თეთრი), ფსოუ (თეთრი), ალაზნის ველი (თეთრი), ხვანჭკარა (წითელი), ოჯალეში (წითელი), ქინძმარაული (წითელი), ახაშენი (წითელი), თავკვერი (წითელი), უსახელაური (წითელი), აფსნი (წითელი), ლისნი (წითელი), ალაზნის ველი (წითელი), ალადასტური (წითელი).

მაგარი ღვინოები (პორტვეინი): კარდენახი (თეთრი), ანაგა (თეთრი), სიღნაღი (თეთრი), ივერია (თეთრი), კოლხეთი (წითელი), ტარიბანა (თეთრი), ლელო (თეთრი), მარაბდა (თეთრი),

სადესერტო ღვინოები: საამო (თეთრი), ხიხვი (თეთრი), სალხინო (წითელი), აფხაზეთის თაიგული (თეთრი)

ჩემს მიერ მოძიებული იქნა დიმიტრი ტაბიძის „კახეთის ვაზის ჯიშები" 1954 წლის გამოცემა, ეს გახლავთ ნიკო კეცხოველის რედაქციით გამოცემული წიგნი. იგი ეძღვნება კახეთის ღვინოებს მთლიანად. აქვე ვხვდებით ქიზიყს, რომელიც ცალკე თავადაა გამოყოფილი. ქიზიყის სოფლების ბოდბისხევის რაიონის ზედა სოფლები, ზემო და ქვემო მაჩხაანი, მირზაანი, ოზაანი, არბოშიკი, ჯულაანი, მაღარო. ამ ადგილების ღვინოებია ხიხვი, ალიგოტე, ჩიტისთვალა, გორული, მწვანე, პინო, ფრანი, რქაწითელი, საფერავი, შასლა, განჯური, ბუდეშური, რქაწითელი, მწვანე, საფერავი.





ოქროულა—თეთრია, რქა, ფოთოლი და მარცვლები მსხვილი ჰქონია. „დამწიფებული იგეთია, როგორც ოქრო. ეგეთი ყურძენი ერევანში მინახავს, სხვაგან არსად"-ო, მიუთითებს გორა ალექსანდრეს-ძე გარსენიშვილი (ს. ოზაანი). ჩვენც ამ ჯიშის ვაზი მხოლოდ სოფ. ოზაანში დავადასტურეთ.

აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში" კახეთის ვაზის ჯიშებთან ერთად აღნიშნული აქვს „ოქროს-ყურძენი", სტეფანე მენთეშაშვილს თავის „ქიზიყურ ლექსიკონშიც" იგივე სახელი გამეორებული აქვს „ოქრო ყურძნად". შეიძლება აკად. ივ ჯავახიშვილის მიერ დასახელებული კახეთის ვაზის ჯიში „ოქროს-ყურძენი" და სტეფანე მენთეშაშვილის „ოქრო ყურძენი" სოფ. ოზაანში (წითელწყაროს რაიონი) გავრცელებული ვაზის ჯიში „ოქროულა" იყოს.

ქიწნურა—შავია. როგორც მოსე ქურხულიშვილმა გადმოგვცა, ქიწნურა მხოლოდ სოფ. ოზაანში (წითელწყაროს რაიონი) გვხვდება და ისიც მცირე რაოდენობით. მისი თქმით, რქა და ფოთოლი მწვანე აქვს საფერავივით. ქიწნურა ვაზის ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება ის ყოფილა, რომ მას „ორჯერ დამწიფება ახასიათებს თურმე, ერთი ნაწილი რომ მოიწევა, ჯერ იმაი დაიკრეფამენ, მერე ახლა სხვა მაიწევა და იმასაც დაიკრეფამენ", ამბობენ ქიზიყელები.

ობაყლური—თეთრია. სტეფანე მენთეშაშვილის აზრით „ობაყალი" ნაწარმოებია ადგილის სახელისაგან. ობაყალი (სოფ. ბოდბისხევის ბოლოზე, სადაც მშვენიერი ვენახები იყო) ვაზის ჯიშია, ხიხვსა ჰგავს, მოყვითალო ყურძენი იცის, კარგია"[63]. ისეთი ფოთოლი აქვს, რომ „მტკაველი არ გასწვდება", რქაც სქელი აქვს, გვიან მწიფდება. გავრცელებულია სოფ. ოზაანსა და არბოშიკში.

ამავე წიგნში ფართოდ განხილულია კახეთის ღვინოები: საფერავი, რქაწითელი, კახური მწვანე, ხიხვი, ინსტიტუტის გრძელმტევანა, ქისი, ჩიტისთვალა, შავი ბუდეშური, სიმონასეული, ბუერა, უბაკლური, ინგილოური, , კახური მცვივანი, საფენა, კახური ცხენის ძუძუ, სირგულა, თეთრი კუმსი, მხარგრძელი, ყვითელი მხარგრძელი, წობენურა, ოქროულა, კურკენა, მირზაანული, შავთხილა, მაღრაანული, ადრეულა მცვივანა, კახური ღრუბელა, შავი კუმსი, ყვითელი კუმსი, თეთრი ხარისთვალა, კახური თითა, პატალანთეული თავკვერი, საფერავისებრი თავკვერი, დიდმარცვალა თავკვერი, შავი ყურძენი, ვარდისფერა, ჟღია, ფაჩხასაფერავი, ძაღლიარჭამა.

დედოფლისწყაროს მუზეუმში დაცული ცნობების მიხედვით ვარკვევთ საქართველოს ვაზისა და ღვინის ისტორიის შესახებ. საინტერესოა მათი ნამუშევარიც ღვინის თემაზე, სადაც კარგად არის გადმოცემული და აღწერილი ბოლო წლის მონაცემები თუ რამდენ ჰექტარზე რა ჯიშის ვენახი გვაქვს რაიონში გაშენებული.

„თუ თანამედროვე პერიოდს მივუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ საქართველო ამ პერიოდშიც რჩება ვაზის კლასიკურ ქვეყნად 1997 წლის მონაცემებით საქართველოში იყო ყურძნის ბუმი. სწრაფი ტემპით იზრდებოდა მიწის ის ფართობი, რომელიც ყურძნის სხვადასხვა ჯიშით იყო დაკავებული და ექვემდებარებოდა ღვინის ექსპორტს.

1997-98 წლებში ვენახებს საქართველოში 94 ათასი ჰექტარი მიწა ეკავა. აქედან 350 ათასი ტონა ყურძენი იქნა მიღებული მარტო (1997 წელს -320 ათასი ტონა)საშუალოდ 40 ცენტნერი ჰექტრიდან. აღსანიშნავია, რომ ბოლო მონაცემებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგინა 170 ცენტნერი ჰექტარზე, ავსტრალიაში -150 ცენტნერიჰექტარზე, ეგვიპტეში-140, გერმანიაში 130,საფრანგეთსა და იტალიაში -90 და უნდა ითქვას, რომ მოსავლის 80% მოკრეფილი იყო კერძო სექტორში. ჩვენი პატარა საქართველო თავისი მონაცემებით უსწრებდა ისეთ ქვეყნებს, რომელბიც ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ. ვიმედოვნებთ, რომ ქართული ყურძენი და ქართული ღვინო კვლავ იტყვის თავის სიტყვას მსოფლიო ბაზარზე. დედოფლისწყაროს სულ 3.819 ჰექტარი სავენახე მიწის ფართი აქვს, აქედან მუშავდება 1.997 ჰექტარი. ძირითადი ყურძნის ჯიშებია: საფერავი-190 ჰექტარი, შავი მუსკატი – 40 ჰექტარი, თავრიზი-10 ჰექტარი, კაბერნე-3,2 ჰექტარი, ხოლო ლიდერად კვლავ ჩვენი მამაპაპური რქაწითელი რჩება-იგი 3. 676 ჰექტარზეა გაშენებული.

დედოფლისწყაროში მევენახეობის ყველაზე დიდი მეურნეობა საზღვრისპირა სოფლებს – სამთაწყაროსა და ფიროსმანს აქვს, ყველაზე მეტი საფერავი აქაა ჩაყრილი. ყველაზე ადრე აქა მწიფს ყურძენი და საქართველოში პირველი ყურძნის კრეფაც სწორედ აქედან იწყება. თუ როგორი იქნება ყურძნის მოსავალი და რამდენად სარფიანად გაჰყიდიან ყურძენსა თუ ღვინოს აქაური გლეხები, ეს საკითხი ყოველწლიურად მსჯელობის საგანი ხდება.

ლალი მეხრიშვილი

# „სინდისი და პატიოსნება დემოკრატიის ფუნდამენტური საყრდენია!“

ის, ერთი შეხედვით, პარტიის ჩვეულებრივი, უბრალო ხელოსანია და მას „სვარჩიკი არსენას“ სახელით იცნობს უმრავლესობა. იშვიათ ვინმეს თუ ჩაუხედავს მის სულიერ სამყაროში, უმსჯელია მასთან ცხოვრებაზე, ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, წარსულსა, აწმყოსა თუ მომავალზე, ალბათ იმიტომ, რომ ის გარეგნულად სულაც არ ტოვებს საინტერესო ადამიანის შთაბეჭდილებას. არადა, სინამდვილეში საქმე პირიქითაა. მე გაოცებული დავრჩი მისი ინტელექტით, ფაქტების ცოდნით, აზროვნების სიღრმით და ადამიანური თვისებებით.სასაუბროდ სახლში ვესტუმრე. ის ახლა ცოტა შეუძლოდაა, აღარ მუშაობს და დროც საკმარისი აქვს. თხრობას მისი წარმომავლობიდან ვიწყებთ: დაიბადა 1941 წელს ბნელაუბანში, რომელიც ადმინისტრაციულად ზემო მაჩხაანს, ხოლო ცხოვრების წესით არბოშიკს ეკუთვნის. ამიტომ ვერ გამოვკვეთავთ ის ზემომაჩხაანელია თუ არბოშიკელი, ისევე, როგორც ყველა ამ უბნის მაცხოვრებელი.მისმა მშობლებმა ვიქტორ, იგივე ისიდორე ყოჩიაშვილმა და ბოდბისხეველმა ქეთევან შიხაშვილმა სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი გაზარდეს. როცა არსენა არბოშიკის საშუალო სკოლაში პირველ კლასში შეიყვანეს, არა მარტო ქართული, არამედ რუსული წერა-კითხვაც კი იცოდა. ინტერესიანმა ბავშვმა მისი 5 წლით უფროსი ძმის წამხედურობით თავისით შეძლო, დაეძლია ეს პროგრამა. მესამე კლასიდან უკვე წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა, რადგან ოჯახი საცხოვრებლად წითელწყაროში გადმოვიდა. რვა კლასი ფრიადებზე დაამთავრა და რუსთავში, სახელოსნო სასწავლებელში კალატოზის პროფესიას დაეუფლა. სამუშაოდ სოხუმში მშენებლობაზე გააგზავნეს. (ნეტავ ერთხელ კიდევ ჩამიყვანაო სოხუმში-ნატრობს!) იქიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ლენინგრადის (ახლანდელი პეტერბურგის) სამშენებლო ბატალიონში მოხვდა. მალე გონიერებისა და დისციპლინირებულობის წყალობით ათმეთაურად დანიშნეს. პარალელურად საღამოს რუსულ საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა და ფრიადოსნის ატესტატი დაიმსახურა. ღირსეული ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის რიგებში წევრობის კანდიდატად მიიღეს. ეს დიდი პატივი იყო 22 წლის ჭაბუკისთვის. ჯარიდან დაბრუნებისთანავე შირაქის სამხედრო ნაწილში ხელშეუხებელი საომარი თადარიგის უფროსად გაამწესეს, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის და დარგისადმი არასასურველი პირადი დამოკიდებულების გამო სამსახურზე მალე უარი თქვა და გადაწყვიტა, მძღოლად დაეწყო მუშაობა. ამასობაში კანდიდატობის ვადაც გაუვიდა და მისი პარტიაში მიღების საკითხიც დადგა. ურჩიეს, ატეკის დირექტორს 1000 მანეთი მიეცი, თუ გინდა, მანქანაზე მუშობა დაიწყოო. მისი სულისთვის მიუღებელი და შეუფერებელი საქციელი არ ჩაიდინა და პროტესტიც საკმაოდ ხმამაღალი გამოუვიდა, ისეთი ხმამაღალი, რომ მისი ხმა პარტიის რაიკომამდე მივიდა და...მთელი წელი აწვალეს, პარტიაში რომ მიეღოთ. ბიუროზე ისეთი კითხვები დაუსვეს, წესით გათვალისწინებულ წესდებასთან, მის ისტორიასა და პოლიტიკურ საკითხებში განსწავლულობასთან არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდა. 1963-64 წლები იყო. სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულმა კორუფციამ ყველა დარგი და სფერო მოიცვა. მათ შორის „ფასი დაედო“პარტიაში შესვლასაც. ისევ ფულზე მინიშნებამ და ირონიით ნათქვამმა ფრაზამ: „თუ არ იცოდი პარტია რა იყო, სად შედიოდიო“, ძალიან გაამწარა ახალგაზრდა კაცი და უფრო ხმამაღლა გაისმა მისი პროტესტის ხმა, რასაც რამოდენიმე შეტევა მოჰყვა მისი დაპატიმრების მცდელობით. იფიქრა, ამათთან ჭიდილს აზრი არა აქვსო და...

- შარისთვის თავი რომ დამეღწია, გადავწყვიტე, ისეთი გზა ამერჩია, სადაც ჩემი საქმის ბატონ-პატრონი მე თავად ვიქნებოდი და ჩემი ალალი შრომით შვძლებბდი ცხოვრებას. რუსთავში სწავლისას მრავალი პროფილის საქმე შევისწავლე, მათ შორის შემდუღებლობაც. ამიტომ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მივაშურე და საშემდუღებლო საამქროს გახსნის ნებართვა ავიღე. ასე გავხდი „სვარჩიკი არსენა“ და მას მერე, ნახევარ საუკუნეზე მეტი, ვემსახურე ამ სფეროს. როგორც იტყვიან, „ ზოგი ჭირი მარგებელიაო“ და მეც ასე მომივიდა. ყოველთვიური სახელმწიფო შესატანი 350 მანეთი იყო. აქედან მე, ხელფასის სახით, მხოლოდ 57 მანეთი მეძლეოდა.სამაგიეროდ, არ ვიყავ შეზღუდული, მოსახლეობას და სხვა ორგანიზაციებს მოვმსახურებოდი.მშენებლობის ბუმი იდგა მაშინ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. შენდებოდა ფერმები, სამეურნეო თუ სასაწყობე ნაგებობები, კორპუსები,მოსახლეობა საკუთარ საცხოვრებელ ბინებს ინტენსიურად აშენებდა და, შესაბამისად, კეთილმოაწყობდა. ყველგან და ყველფერში კი რკინა იყო სდაჭირო. მეც თავდაუზოგავად ვშრომობდი და ბედის უკმაყოფილო არ ვიყავ. ფუფუნების საგნები და გადამეტებული მოთხოვნილებები ცხოვრებისა, ბუნებით არ მქონდა. ჩემთვის გემრიელად ვცხოვრობდი, არაფერი მაკლდა.



ეს სურათი ჯარში ყოფნისას გადავიღე და ძალიან მიყვარს, რადგან ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ლაღი, შინაარსიანი და წარმატებული პერიოდი იყო.

**- ოჯახი როდის შექმენით?**

- 24 წლის ვიყავ, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარიდან წითელწყაროში სტუმრად ჩამოსული ციცინო ქადაგიშვილი რომ გავიცანი.მომეწონა და დავქორწინდით. 49 წელი ვიცხოვრეთ ერთად და ძალიან ბედნიერი ვიყავ მასთან. რამდენიმე წელია, რაც გარდაიცვალა და, მიუხედავად შვილებისა და შვილიშვილებისა, თავს მაინც მარტოსულად ვგრძნობ. ძალიან დამაკლდა. ცოლ-ქმრობა უფლისგან დაწესებული სულ სხვა ფენომენია. ქალ-ვაჟი გავზარდეთ. მოდა ასეთი იყო. ნინო აქვე, სოფელ ხორნაბუჯშია გათხოვილი. ჩემი სიძე რეზო ხარაშვილი ორგზის ავღანეთის ომის მონაწილეა. ის ოფიცერია. ორი გოგო და ერთი ბიჭი ჰყავთ. ჩემს ვაჟს, გოჩას, რომელთანაც ძირითადად ვცხოვრობ, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე ბინაც მაქვს, ორი ვაჟი ჰყავს. რძალი მარიკა პოპიაშვილი ხორნაბუჯის სკოლაში პედაგოგია. მათი უფროსი ვაჟი ჩემი მოსახელეა-არსენი ჰქვია.არა მარტო სახელით, თვისებებითაც ძალიან მგავს და, გამოგიტყდებით, გამირჩეულად მიყვარს და ვანებივრებ, რაც ჩემს შვილს არ მოსწონს და სულ მუდამ მაკრიტიკებს ამის გამო.

**- რადგან სახელზე ჩამოვარდა საუბარი, მაინტერესებს, რას ნიშნავს თქვენთვის თქვენი სახელი. ის ხომ ყველასთვის საყვარელი სახალხო გმირის სახელია.თქვენი და ასევე ჩემი ბავშვობის დროს ცხენზე ამხდრებული ვაჟკაცის დანახვისთანავე ამბობდნენ: „ მოიდა არსენაო“. ის სამართლიანობის, ვაჟკაცობის და კეთილშობილების სიმბოლო იყო.**

- ხალხური „არსენა ყაჩაღიც“ და დიდი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელიც“, თითქმის ზეპირად დასწავლილი ნაწარმოებებია. მე პატივს ვცემ ამ ისტორიულ პიროვნებას. მართალია, ტანად ყარამან ყანთელი არ ვიყავ, მომცრო აღნაგობა მქონდა, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი და გამოწრთობილი გახლდით. მიყვარდა სპორტი და მივდევდი კიდეც მას. სამართლიანობა და კეთილშობილება არც ჩემთვის არის უცხო თვისებები, მაგრამ როგორც ასეთი, სახელის გამო არ მიტრაბახია და არც მიმბაძველობის სურვილი არ გამჩენია. ამდენად, ჩემთვის ჩემს სახელს, მაინცდამაინც, დატვირთვას არ ვანიჭებ.ყველა სახელის მქონე ადამიანი შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც.

**- ზემოთ მიხეილ ჯავახიშვილი ახსენეთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი ჰობი ლიტერატურაა. რომელი მწერალი გიყვართ გამორჩეულად?**

- ჰობი კიდევ სხვა რამაა, ეს ჩემი ორგანული მოთხოვნილება და ჩვეულებაა.

ახალგაზრდობიდან სამეცნიერო, ისტორიული და გეოგრაფიული ლიტერატურა მიყვრდა, ძალიან მაინტერესებდა კოსმოსი ანუ ასტრონომიის სფერო. მთელი ცხოვრების მანძილზე არ დამიძინია არც ერთი ღამე, სულ მცირე 20-30 ფურცელი მაინც რომ არ წამეკითხოს. ბევრჯერ თეთრადაც დამთენებია. კაცობრიობის არსებობის 5 მილიონი წლის მანძილზე არ ყოფილა მოვლენა, რომლის მიმართაც ინტერესი არ გამჩენოდა. მიუხედავად იმისა, რომ რკინასთან მუშაობა და შედუღების პროცესი ძალიამ მოქმედებს მხედველობაზე და ღლის თვალს, მაინც წიგნის კითხვას ვერ შევლევივარ. ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის,- ისედაც დათხრილ თვალებს რაღაზე ითხრიო, მაგრამ მაინც იმხელა სიამოვნებას ვღებულობ, რომ, სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია. სიყვარულით მე ლევან გოთუა და ნოდარ დუმბაძე მიყვარს. ბევრი დიდი მწერალია, მათ ნაწარმოებებსაც სიამოვნებით ვკითხულობ, მაგრამ არ მიყვარს, რადგან ზოგს შოვინიზმი აწუხებდა, ზოგს ნაკლებადამიანური თვისებები და სხვა.

**- რა არის შენთვის „ვეფხისტყაოსანი?“**

- ლოგიკა და სიტყვათწყობა არ მეყოფა ამის გადმოსაცემად, ის ცხოვრების აზრია და სიბრძნე.

**- ისტორიული პიროვნებებიდან ვის გამოარჩევთ?**

- ზეპირად ვიცი საქართველოს ისტორია. ფარნავაზიდან მოყოლებული ბაგრატოვანთა გვარის შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს. ამაზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო, თუმცა ყველაზე მაღლა ერეკლე II –ჩვენს პატარა კახს ვაყენებ. როგორ დავუკნინებ დიდ ხელმწიფობას თუნდაც დავით აღმაშენებელს, ასევე სხვებსაც, მაგრამ მზარავს მათი დასჯის და ანგარიშსწორების მეთოდები, (ძელზე გასმა, ხერხემალში გადამტვრევა, დასაჭურისება და სხვა) მომეტებულად დიქტატორული პოლიტიკაა. ამაში, ისტორიული წყაროების გარდა, მარტო ლევან სანიკიძის და კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების წაკითხვისასაც რწმუნდები. ჩემი აზრით დიდი მეფე იყო შაჰ-აბასიც, მხოლოდ თავისი ქვეყნისთვის. ჩვენთვის სისხლისმღვრელი და დამაქცევარი იყო, მაგრამ გაპარტახებული ირანი უძლიერეს და უდიდეს სახელმწიფოდ აქცია. თუმცა, მანაც ბოროტების იმპერია შექმნა.

შორს წაგვიყვანს ბატონი არსენის მიერ მონთხრობის და ნააზრევის დაწვრილებით გადმოცემა, მას მთელი გაზეთიც არ ეყოფა. გაოცდები, აბა რა იქნება, როცა ერთი უბრალო შემდუღებელი კაცი ხეთებზე, შუმერებზე, მაიას ტომზე, ეგვიპტისა და საბერძნეთის რენესანსის ეპოქაზე, რემარკზე, თომას მანზე, ჟუკოვზე და კიდევ სხვა უამრავ რამეზე გესაუბრება.

**- ბოროტების იმპერიასა და დემოკრატიაზე რომ ვისაუბროთ, თქვენ როგორ აფასებთ დღევანდელობას?**

- მე კომუნისტურ წყობაში გავიზარდე და, აგერ, 25 წელია, თავისუფალ საქართველოში ვცხოვრობ. ბევრი რამ იქაც იყო კარგი და აქაც არის, თუმცა, სასწორზე რომ დავდოთ ხალხის ცხოვრების დონე და მასზე ზრუნვა, დღევანდელობა ბევრად ჩამოუვარდება. ძალიან კარგია, რომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მეტი თავისუფლებაა სიტყვის, ქმედების. თუმცა, თავისუფლება ბევრმა არასწორად გაიგო. თავისუფლება და დემოკრატია, უპირველესად, კანონმორჩილებას გულისახმობს და არა ქაოსს და თავნებობას. ადამიანები აგრესიულები გახდნენ, ნაკლებია თანადგომა და სიყვარული. გაჭირვებული ადამიანის ანგარიშზე 1 ლარს რომ გადარიცხავ ცუდი არ არის, მაგრამ არასაკმარისია. გარშემომყოფები უნდა გვიყვარდეს და მათზე ვზრუნავდეთ. ისე, სიმართლე თქვას კაცმა, პენსია არასაკმარისია, უმუშევრობაა. მაგალითად მე, ჯამთელობისათვის მავნე სპეციალობა მქონდა, ამიტომ პენსიაზე 55 წლისა უნდა გავსულიყავი, მაგრამ 65 წლისა გავედი. კარგია ჯანდაცვა რომ ბევრ რამეს აფინანსებს, თუმცა, ძვირადღირებულ ანალიზებს ნაკლებად.ყელაფერს გადაიტანს ადამიანი, თუ ხედავს, რომ ქვეყანაში ყველა სფეროსა და ქმედებაში სამშობლოს სიყვარულის მარცვალი დევს. ახალგაზრდობის პატრიტულ აღზრდას, ენის და რწმენის დაცვას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რა ისტორიული პროცესები ახდენს გავლენას, რომ ველური ტომები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში, რომელთა სახელმწიფოდ ჩაოყალიბება სულ რაღაც 60-70 წლის წინ მოხდა, ეკონომიკურად ჩვენზე ბევრად უკეთ ცხოვრობენ და ჩვენ, ასეთი უძველესი ერი უკან და უკან წავედით. 25 წელია, ვერაფერი მოვუხერხეთ ჩვენს წელში გამართვას?!

**- დედოფლისწყაროს შემოსასვლელში აღმართული ჯვარი თქვენი გაკეთებულია. რა არის ეს თქვენთვის, შესრულებული სამუშაო თუ უფლის ჯვარი!?**

- მიუხედავად იმისდა, რომ ათეიზმით გავიზარდე, ღმერთის არსებობა ყოველთვის მწამდა. ვთვლი, რომ მარტო კი არ უნდა გწამდეს უფალი, არამედ უნდა გიყვარდეს კიდეც წრფელი გულით. მართალია, ეკლესიაში ვერ დავდივარ, მაგრამ მიყვარს უფლის სახლი და არასოდეს არ ამიღია გასამრჯელო რელიგიური ნივთების გაკეთებისთვის. ასევე უანგაროდ ვემსახურები სკოლებს და საბავშვო ბაღებს. რელიგიის ისტორია და რელიგიური რიტუალების შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს, მაგრამ ჩემს თავს ვერ ვპატიობ, რომ ბიბლიას და სახარებას არ ვიცნობ. ახლა სწორედ მათ წაკითხვას ვაპირებ.

**- ნახევარი საუკუნე რკინას ეჭიდავები, პროფესიიდან გამომდინარე უამრავ ადამიანთან გქონია შეხება, რა უფრო იოლია-რკინის თუ ადამიანის მორჯულება?**

- ადამიანს დაბადებიდან თან დაჰყვება თვისებები, რომელთა შეცვლაც რთული და შეუძლებელიც კია. სულიერ არსებათა დაუმორჩილებლობა ბუნებაში დევს. რკინა უსულოა, ამიტომ მისი მოდრეკვა უფრო ადვილია.

**- როდესაც სასაფლაოზე ხვდებით, იქ თქვენს უამრავ ნახელავს ხედავთ. რა გრძნობა გეუფლებათ?**

- ადამიანი რამდენი წლისაც გინდა გარდაიცვალოს, დასანანია და მათთვის პატივის მიგება აქ დარჩენილთა ვალია. ამ ბოლო დროს, რადგან სამშენებლოდ სულ სხვა ტექნოლოგიები შემოვიდა, რკინა ნაკლებად გამოიყენება. ამიტომ ჩემს შეკვეთებში სასაფლაოს მოწყობის ატრიბუტიკამ იმატა. მე თითოეულ მათგანს მთელი მონდომებით ვაკეთებ, მინდა, პატიოსნად ვალმოხდილი ვიყო მათ წინაშე. აქედან გამომდინარე, მე კმაყოფილი ვარ, მით უმეტეს, რომ ყველა ჭირისუფლის მდგომარეობაში შევდივარ და შეძლებისდაგვარად ვცდილობ, იაფად მოვემსახურო.

**- თქვენ 5 შვილიშვილის პაპა ხართ. რას უსურვებთ მომავალ თაობას?**

- ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი განძი სინდისი და პატიოსნებაა. ოპტიმისტი ვარ და დიდი იმედით შევყურებ მათ. მართალია, ცვალებადი ცხოვრება გვაქვს, მაგრამ ეს ის თვისებაა, რომელიც ყოველ ეპოქაში და წყობაში ერთნაირად გამოადგება და ევალება თითოეულ ადამიანს-გლეხს, მუშას, მთავრობის წევრს, პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოხელეს, ერთი სიტყვით-ყველას. სინდისი და პატიოსნება არის სწორედ დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენი.

**- გმადლობთ, ბატონო არსენ, საინტერესო საუბრისთვის, თქვენ კიდევ ერთხელ დამარწმუნეთ, რომ ადამიანი გარედან არ უნდა შეაფასო. ნამდვილად არ მოველოდი თქვენთან თუ ამ დონის საუბარი გამომივიდოდა. მე უკმარისობის გრძნობა მაქვს. ვფიქრობ, ჯეროვნად ვერ გადმოვეცი და ვერ დავანახე მკითხველს თქვენი პიროვნება. დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ, მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. გამხნევდით, თქვენ კიდევ ბევრჯერ აამღერებთ რკინას.**

ესაუბრა
ნაირა გორაშვილი

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა. 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ორმა დიდმა მოვლენამ - მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველმა მსოფლიო ომმა - განაპირობა. ისტორიკოს ვახტანგ გურულის თქმით, რომ არა ამ ფაქტორების თანხვედრა, ვერც საქართველო და ვერც რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი სხვა ერები დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდნენ:

„პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის სახელმწიფო მიიყვანა კრიზისამდე, რომელიც დამთავრდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციითა და რომანოვების დინასტიის აღსასრულით“, - განაცხადა ვახტანგ გურულმა. - „შესაბამისად, ამ იმპერიაში მცხოვრებმა დაპყრობილმა ერებმა მიიღეს იმისი წინაპირობა, აღედგინათ დამოუკიდებლობა. ქართველი ერი აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ რამდენიმე ერს შორის, რომელმაც შეძლო დაეგვირგვინებინა ეს 1921 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.“

ვახტანგ გურული არ იზიარებს აზრს, რომ 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით მოხდა, თუმცა ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ მაშინდელი პოლიტიკური ელიტა ფსიქოლოგიურად არ იყო მზად დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე იხსენებს იმ ფაქტს, თუ რა ძალისხმევა დასჭირდა საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს, აკაკი ჩხენკელს, რათა ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე დაეყოლიებინა:

„დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა ბერლინიდან და მოითხოვდა ნოე ჟორდანიასა და სხვა პარტიული კოლეგებისაგან გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. ირაკლი წერეთელმა, რომელიც ყველაზე მემარცხენე იყო ქართველ სოციალ-დემოკრატებში, როცა დეპეშა წაიკითხეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, თავში ხელი წაიშინა და დაიწყო ყვირილი, რას შვრებით, თქვენ ღუპავთ რუსულ დემოკრატიასო, როგორ შეიძლება, ჩვენ ვღალატობთ ჩვენს მოძმე რუსულ დემოკრატიას და მათ ვტოვებთ ბოლშევიკების სათარეშოდ, ეს როგორ შეიძლებაო.“

საბოლოო ჯამში, როგორც უკვე ვთქვით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დამოუკიდებლობა მაინც გამოაცხადეს. თავდაპირველად, დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისგან, თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1920 წლის 7 მაისის, ანუ რუსეთის მიერ საქართველოს აღიარების, შემდეგ. 1921 წლის თებერვლამდე საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა ქვეყანამ ცნო, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება. ვახტანგ გურულის თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობა დიდ პოლიტიკურ თამაშს ემსხვერპლა:



„ქართველებმა რომ დამოუკიდებლობა ვერ შევინარჩუნეთ, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ, ვთქვათ, ლატვიელებზე, ლიტველებზე და ესტონელებზე ნაკლებად მომზადებული ვიყავით ამისათვის. დიდმა პოლიტიკამ ინება მაშინ ისე, რომ დასავლეთმა ევროპამ (ანტანტის ქვეყნებმა) არ დაუშვა რუსეთის აგრესია ბალტიისპირეთში და დაიცვა ეს ტერიტორია, ხოლო, რუსეთისა და დასავლეთის სამყაროს გარიგებით, სამხრეთი კავკასია აღმოჩნდა ის რეგიონი, რომელიც ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა დაუთმეს საბჭოთა რუსეთს.“

საბჭოთა რუსეთმა თბილისი 1921 წლის 25 თებერვალს დაიკავა.ისტორიკოს ბონდო კუპატაძის თქმით, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, უნიათობას ამჟღავნებდა, ჯერ თბილისი, მოგვიანებით კი საქართველოს ტერიტორია დატოვა:

„ერთი დადებითი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არანაირი იურიდიული საბუთი არ დაუტოვებია იმისა, რომ მან ძალაუფლება გადასცა რომელიმე სხვა ძალას. ანუ საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრა დაფიქსირდა როგორც ოკუპაცია და, საერთაშორისო სამართლით, ეს იყო ოკუპაცია“, - განაცხადა ბონდო კუპატაძემ.

ოკუპაციის ფაქტის დაფიქსირებამ მნიშვნელოვნად გააადვილა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ და სხვა არაერთი ფაქტორის გათვალისწინებით, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ნოდარ ნათაძე, ამბობს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი ერი გაცილებით რთული ამოცანის წინაშე იდგა:

„მონარქიული იმპერიის დამსხვრევა და იქიდან საქართველოს გამოხსნა ბევრად უფრო ძნელი ამოცანა იყო, ვიდრე საბჭოთა იმპერიის დანგრევა, იმიტომ რომ მონარქიას იმდროინდელი ნორმებით, ლეგიტიმურობა მოსდევდა. ეს იყო დინასტია, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა გარკვეული ტერიტორიები და ითვლებოდა, რომ დაპყრობის შედეგი არის კანონიერი ფლობა. ახლა ეგრე აღარ ითვლება“, - განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

და მართლაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ შეძლო დაშლის პირას მისული საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა. 70-წლიანი ტყვეობის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა, 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინეს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ აღადგინა დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო სიმბოლიკა, თუმცა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ საქართველომ უარი თქვა პირველი რესპუბლიკის დროშაზე, ღერბსა და ჰიმნზე. ეს უკანასკნელი ახალი თაობის პოლიტიკოსებმა ტექსტისა და მელოდიის სირთულის გამო დაიწუნეს.

# სპორტული ქრონიკა

21 მაისს ქ. დედოფლისწყაროში ჩატარდა ჯემალ მერაბიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფრენბურთში. ჯემალ მერაბიშვილი გახლდათ არხილოსკალოდან, რომელიც საჯარო სკოლაში სწავლის პერიოდიდან იყო წარმატებული სპორტსმენი: საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი, გამოდიოდა საბჭოთა კავშირის პირველობაზე, იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა წითელწყაროს პოლიციაში და სპორტის დიდი ქომაგი იყო. სწორედ მის ხსოვნას მიეძღვნა ტურნირი ფრენბურთში, სადაც ახალგაზრდა დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. პირველ ადგილზე გავიდა სოფელ ხორნაბუჯის გუნდი „ხორნაბუჯი“, მეორე ადგილის მფლობელი გახდა ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდი „ელია“, ხოლო მესამე ადგილისზემო ქედის გუნდი.


დ ი პ ლ ო მ ი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი
ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ს
--------------------------------------, რომელიც ვანო ნაზარეთიანის ხსოვნისადმი
მიძღვნილ ტურნირში
ფ ე ხ ბ უ რ თ შ ი
გახდა ბომბარდირი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
ცენტრის დირექტორი: ავთანდილ ხუმარაშვილი
22.05.2016 წ.

გარდამავალი თასი, რომელიც ჯემალ მერაბიშვილის ოჯახმა დააწესა, პირველი ადგილის მფლობელ გუნდს გადაეცა, საუკეთესო მოთამაშის პრიზი მალხაზ მერაბიშვილმა გადასცა ამ ტიტულის პრიზიორს დიმიტრი კუნჩინს, ხოლო პერსპექტიული მოთამაშის ტიტული კი ლუკა ქისტაურს მიენიჭა. მას პრიზი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრმა გადასცა.

* * *

22 მაისს გაიმართა ვანო ნაზარეთიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში. ეს ტურნირი მეგობრების ინიციატივით ჩატარდა და ვარაუდობენ, რომ ტრადიციული გახდება.

დედოფლისწყაროელმა ფეხბურთელებმა აქტიურად იასპარეზეს და ტურნირის ბოლოს გამარჯვებულები გამოვლინდნენ. პირველი ადგილის მფლობელი გახდა ქედების გუნდი, რომელსაც გარდამავალი თასი სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრმა გადასცა, მეორე ადგილს დასჯერდა ქალაქ დედოფლისწყაროს მოჭიდავეებისგან შემდგარი გუნდი, მესამე ადგილის მფლობელი კი დედოფლისწყაროს გუნდი „ვარსკვლავები“ გახდა. ვანო ნაზარეთიანის ოჯახის მიერ დაწესებული ფულადი პრემია გადაეცათ პირველ და მეორე საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს 200 და 100 ლარის ოდენობით.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს სერგო ღანიაშვილი, საუკეთესო მეკარედ-მაქსი ვეშაპიძე, საუკეთესო ბომბარდირად კი-დიმიტრი კუნჩინი.

* * *

23 მაისს მცხეთაში ჩატარდა არჩილ ჩოხელის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროელი სპორტსმენები. ჩვენმა თანამემამულე ნიკა კობაიძემ ხუთივე მეტოქე სუფთად დაამარცხა და პირველი ადგილის მფლობელი გახდა.

* * *

22 მაისს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ხელჩართულ ბრძოლებში, სადაც მონაწილეობდა ზემო მაჩხაანის გუნდი „ზაქები“. ტურნირზე თავი გამოიჩინა სანდრო ნატროშვილმა(72 კგ), რომელმაც ერთმანეთზე საუკეთესო ბრძოლები ჩაატარა და გახდა ტურნირის ჩემპიონი.





# 13 პროდუქტი, რომელიც აუცილებელია თავის ტვინის მუშაობის გასაუმჯობესებლად

1) წყალი. ორგანიზმის გაუწყლოება იწვევს თავის ტვინის სერიოზულ დაზიანებას. დღეში 2 ლიტრამდე წყალი მაინც უნდა მიიღოთ.

2) თევზი. თევზში არსებული პოლიუჯერი ცხიმოვანი და ომეგა-3 ჯგუფის მჟავები, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს და აუმჯობესებს სისხლძარღვების კედლის მდგომარეობას. როგორც ცნობილია,DHA დაბალი დონე იწვევს მეხსიერების გაუარესებასა და ალცჰაიმერის დაავადებას.

3) რთული ნახშირწყლები. თავის ტვინის ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია „საწვავის“ საკმარისი რაოდენობა. სწორედ ასეთ „საწვავს“ წარმოადგენს ნახშირწყლები.რთული ნახშირწყლებია ბურღულეულში, სიმინდში, პარკოსნებში და სხვ.

4) ხილი და ბოსტნეული. ანტიოქსიდანტებით მდიდარი ხილი და ბოსტნეული ჯანსაღი კვების საფუძველია. მათ შორის საუკეთესოა: მოცვი, მაყვალი, ჟოლო, შტოში, მარწყვი, ისპანახი, ბროკოლი, ბრიუსელის კომბოსტო, ქლიავი, ჭარხალი, ავოკადო, ფორთოხალი, შავი ყურძენი, წითელი ბულგარული წიწაკა, ალუბალი და კივი.

5)მწვანე ჩაი. იგი შეიცავს პოლიფენოლებს, რომელიც იცავის თავის ტვინის უჯრედებს ნეიროდეგენერაციული დაზიანებისგან. გარდა ამისა, მწვანე ჩაი გულსისხლძარღვთა დაავადებების შესანიშნავი პროფილაქტიკული საშუალებაა. იგი აქვეითებს არტერიულ წნევას.



6)კვერცხი. მდიდარია ქოლინით, ვიტამინებით, რაც აუცილებელია თავის ტვინის მემბრანების ჯანსაღი ფუქნციონირებისთვის.

7)კაკაო. მასში ბევრი ფლავანოიდია, რომელიც აუმჯობესებს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევას.

8)პომიდორი. მასში მძლავრი ანტიოქსიდანტი - ლიკოპენია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თავის ტვინისთვის. პომიდორი ხელს უწყობს ტვინის ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას და ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას.

9)ბროკოლი K ვიტამინის წყაროა. ეს უკანასკნელი კი ტვინის მუშაობის სტიმულატორია. შეიძლება ითქვას, რომ ბროკოლი იცავს ტვინს დაბერებისაგან.

10)მოცვი აუმჯობესებს თავის ტვინის კაპილარულ სისხლის მიმოქცევას.

11)მზესუმზირა - შეიცავს მცენარეულ ცხიმებს, რომლებიც ქოლესტერინის დონეს აქვეითრებს, რაც ათეროსკლეროზის განვითარებისგან გვიცავს.

12) თხილი და ნიგოზი, რომელიც წარმოადგენს E ვიტამინის წყაროს, რაც აუცილებელია თავის ტვინისთვის.

13) გოგირდით მდიდარი პროდუქტები. გოგირდი აუცილებელია ტვინის უჯრედების ჟანგბადით გასაჯერებლად. გოგირდით მდიდარი პროდუქტებია: ნუში, კომბოსტო, სტაფილო, კიტრი, ნიორი, ლეღვი, მარწყვი, ხახვი, კარტოფილი, ბოლოკი, კვერცხის გული. ეს სია შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ, რადგანაც ტვინისთვის სასარგებლო სხვა ბევრი პროდუქტიცაა.

გარდა ჯანსაღი კვებისა, მოერიდეთ სტრესებს, გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას, შეეცადეთ შეძლებისდაგვარად დაისვენოთ. მაშინ კარგი განწყობა და ნათელი გონება უზრუნველყოფილი გექნებათ.

# როგორ ვრცელდება მენინგიტი და რით არის საშიში



**რა სიმპტომები ახასიათებს მენინგიტს, როგორ ხდება მისი გავრცელება და როგორია პრევენციის გზები? ამის შესახებ მედიკოსების რჩევები ასე გამოიყურება:**

- მენინგიტი თავისა და ზურგის ტვინის გარსების ანთებაა. თავის ტვინში არის 3 გარსი: მაგარი, რბილი, ქსელისებრი. იმისდა მიხედვით, თუ რომელი გარსის ანთებაა, არჩევენ: პაქიმენინგიტს (მაგარი გარსის), ლეფტომენინგიტს (რბილი გარსის), არაქნოიდიტს (ქსელისებრი გარსის). არჩევენ მენინგიტებს: სერიოზულს (არაჩირქოვანს) და ბაქტერიულს (ჩირქოვანს), ასევე პირველადს და მეორადს იმის მიხედვით, თუ როგორ იწყება დაავადება. პირველადია, როდესაც მწვავედ იწყება გარსების ანთების კლინიკური ნიშნები. მეორადია, როდესაც არსებობს სხვა დაავადება. მაგ: ყბაყურა, ჩუტყვავილა, ტუბერკულოზი და ამ დაავადებების ფონზე იწყება მეორადი მენინგიტი.

**- რა სიმპტომები ახასიათებს მენინგიტს?**

- მენინგიტს ახასიათებს ე.წ. მენინგიალური სიმპტომო კომპლექსი: დაავადება უმეტესად მწვავედ დაწყება, მაღალი ცხელებით, ძლიერი თავის ტკივილით, გულისრევა ღებინებით. ღებინებამ ხანმოკლედ შეიძლება შეამციროს თავის ტკივილი, შემდგომ ისევ ინტენსიურად იწყება ტკივილი. სინათლეზე გახედვის შიში (ფოტოფობია), მომატებული მგრძნობელობა (ჰიპერესთეზია, არ სიამოვნებს საბნის შეხება), გულყრები, ცნობიერების დაბინდვა, შესაძლებელია იყოს სპეციფიური პოზა საწოლში, მუცელთან მოხრილი ფეხები, თავი უკან გადაწეული.

მენინგიალური სიმპტომო კომპლექსი გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მოიცავს ნევროლოგის მიერ გასინჯვის შედეგად გამოვლენილ კისრის რიგიდობას (ბრუძინსკის და კერნიგის სიმპტომებს). შესაძლებელია კანზე ჰქონდეს წვრილი წერტილოვანი სისხლჩაქცევების მაგვარი გამონაყარი (ვარსკვლავისებრი ტიპის), რაც მიუთითებს მენინგოკოქცემიის არსებობას და სწრაფად მოითხოვს სტაციონირებას.

**- შესაძლოა ის უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს?**

- არის რიგი მენინგიტებისა: ტუბერკულოზური მენინგიტი, რომლის კლინიკური გამოვლინება ძალზე რბილია და შესაძლებელია პაციენტი დადიოდეს არა შემაწუხებელი თავის ტკივილით და მცირედი მომატებული სხეულის ტემპერატურით რამდენიმე დღის მანძილზე.

**- რა იწვევს მენინგიტს?**

- ბაქტერიული მენინგიტის მრავალი გამომწვევი ბაქტერია არსებობს. მისი ხშირი გამომწვევია ასევე ენტეროვირუსი. ვირუსები, რომლებიც იწვევენ მენინგიტს, ვრცელდება უპირატესად ადამიანიდან ადამიანზე, მაგალითად: ფეკალურ-ორალურად (ენტეროვირუსები), ჰაერით (წითელა, ჩუტყვავილა), რესპირატორული წვეთით (ენტეროვირუსები, ყბაყურა ვირუსი), პირდაპირი კონტაქტით (ყბაყურა, წითელა, მარტივი ჰერპესი, ვარიცელა), ხოლო არბოვირუსების შემთხვევაში გადაცემა ხდება ართროპოდების (მოსკიტების, ტკიპების, ბუზების, ქინქლების) საშუალებით.

**- რომელ სეზონზე არის ეს დაავადება ყველაზე აქტიური?**

- ვირუსული მენინგიტები ყველაზე ხშირად გვხვდება ზაფხულ-შემოდგომის სეზონზე და უპირატესად ბავშვებში. ინკუბაციის პერიოდი გრძელდება 7-10 დღე. 1000 ინფიცირებულიდან მენინგიტი უვითარდება მხოლოდ ერთს. ვირუსის გამოყოფა გარემოში გრძელდება გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში.

**- დაავადების დიაგნოსტიკის რა მეთოდები გამოიყენება?**

- დიაგნოზის დადგენის მიზნით მოწოდებულია შემდეგი კვლევები, რომლებიც ტარდება მხოლოდ სტაციონარის პირობებში.

- სისხლის საერთო ანალიზი
- თავ-ზურგ ტვინის სითხის გამიკვლევა (ლუმბალური პუნქცია)
- სპინალური სითხის ვირუსოლოგიური ან მოლეკულური კვლევის
- თავის თვინის მაგნიტურ-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფია

**- როგორ უნდა გავარჩიოთ ის სხვა დაავადებისგან?**

- მენინგიტი მძიმე ავადობაა, როგორც ზემოთ აღნიშნულია, ახასიათებს სპეციფიური კლინიკური სურათი და დროულად აღებული თავ-ძურგ ტვინის სითხე იძლევა სწორი დიაგნოსტიკის საშუალებას.

**- ვინ შედის რისკ ჯგუფებში?**

- ვირუსული მენინგიტის განვითარების რისკ-ფაქტორებია: მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ასაკს (ძირითადად 5 წლამდე ასაკი), იმუნიზაციას, მიმდინარე და გადატანილ დაავადებებს.

**- როგორ ხდება მისი მკურნალობა?**

- ვირუსული მენინგიტის მკურნალობა ხდება ანტივირუსული პრეპარატებით, გართულების შემთხვევაში ხდება ანტიბიოტიკებით მკურნალობა. გულყრების დროს კიანტიეპილეფსიური პრეპარატებით.

**- რა კვალს ტოვებს მენინგიტი ადამიანის ორგანიზმში და ნერვულ სისტემაში?**

- მოზრდილებში ახასიათებს ნაკლებად მწვავე მიმდინარეობა და სრული გამოჯანმრთელება. 1 წლამდე ასაკის ბავშებში კი ბაქტერიოლოგიურმა მენინგიტმა შესაძლოა დატოვოს ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ შემდგომი გულყრების განვითარების რისკი.

**- როგორია პრევენცია?**

- იქიდან გამომდინარე, რომ ვირუსული მენინგიტების უმრავლესი ფორმა გამოწვეულია ენტეროვირუსებით, რომელიც გარემოში გამოიყოფა ფეკალიებით, ინფექციის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მკაცრი ჰიგიენის დაცვა, განსაკუთრებით ხელების ხშირად და გულმოდგინედ დაბანვა. ვაქცინაცია წარმოადგენს წითელას, ყბაყურას და ჩუტყვავილას მენინგიტის პროფილაქტიკას. ეპიდემიური შემთხვევების დროს კი აუცილებელია მოვერიდოთ ხალხმრავალ ადგილებს.

გახსენება

## შოთა და შალვა დავითაშვილების ხსოვნა

სიკვდილი ბრმაა, მიდის და მოდის საწუთროს შარაზე და კაცის სიდიადეს არად დაგიდევს. შემოგეყრება გზაზე და სულში ღიად დარჩენილ ფანჯრებს ჩაგიმტვრევს.

სიკვდილი ცივია, უხმო და უთქმელი, არაფერს დაგიდევს, მას სულ არ ადარდებს ცოცხლებს ამდენ ტკივილს რომ აყენებს.

სიკვდილი ბრმაა და ამიტომ ვერ დაინახა თქვენი სიკეთე, ფიქრები, დარდები, გეგმები და ასე უდროოდ აგირჩიათ.

4 ივნისი თქვენი დაბადების დღეა. შეუსრულებელ დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო ტყუპო ძმებო, ჩემო შალვა და ჩემო შოთა.

ძალიან გვაკლიხართ, გვენატრებით და გვჭირდებით, მაგრამ ამაოა მოლოდინი.

ტკბილად იძინეთ თქვენს საყვარელ სოსოსთან ერთად.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ.

**თქვენი და** რუსუდან დავითაშვილ-ყოჩიაშვილი.

ზაურ მარტყოფლიშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ნელი, კობა, ნათია და თეა ქადაგიძეებს მეუღლის და მამის

შალვა ქადაგიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და კრიტიკოსი

ზაურ გონაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.



ჯუმბერ უთრუთაშვილი, თამაზ წიკლაური, ლევან ალავერდაშვილი, გიორგი ნატროშვილი, გია გარსენიშვილი, ნატო ყატაშვილი, თამილა ფოლადაშვილი, ქეთევან ნათელაძე, ზიზო ბურდული, რუსუდან და ვაჟა ყოჩიაშვილები, ზაქრო სეხნიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტი ქიზიყელი ქართველი, ხელმძღვანელი მშენებელი, თანამოკალმე პოეტი

ზაურ გონაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

# „წარმოებულია დედოფლისწყაროში“











საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა დედოფლისწყაროს პურის, ღვინისა და ფოლკლორის ფესტივალი და გამოფენა-გაყიდვა „წარმოებულია დედოფლისწყაროში“. მუნიციპალიტეტის სოფლებმა და ადგილობრივმა მეწარმეებმა საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს. ფესტივალის პარალელურად სპორტული და საკონცერტო ღონისძიებები მიმდინარეობდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ სპეციალურად ამ დღისთვის ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე გამოტანილი პროდუქცია დაათვალიერეს და მეწარმეებს გაესაუბრნენ. საღამოს დასასრულს, სპეციალურმა ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა და სიგელებით გადასცა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს მოგვიანებით კახეთის გუბერნატორი, ირაკლი შიოლაშვილი შეუერთდა. შიოლაშვილი იმ დროს იხსენებს, როცა მისი ინიციატივით ამ დღის მასშტაბურად აღნიშვნა გადაწყდა.

„ჩემი გამგებლად მუშაობის პერიოდში პირველად ჩავატარეთ დამოუკიდებლობის დღე ასე მასშტაბურად. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობამ მოიწონა და ასე იქცა სახალხო დღესასწაულად. მეოთხე წელია, ყველა სოფელია ჩართული ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და ძალიან მიხარია, რომ ტრადიციად დამკვიდრდა და დიდი თუ პატარა ქუჩაში გამოდის,“ - აღნიშნავს ირაკლი შიოლაშვილი.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ ამ ფესტივალით დედოფლისწყაროელი მეწარმეების მხარდაჭერა დაიწყო.

„პირველი წელია, როცა მუნიციპალიტეტი ცდილობს, ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას ხელი შეუწყოს. დამეთანხმებით, თითქმის ნახევარი თბილისი დედოფლისწყაროში წარმოებული რძის პროდუქტებით მარაგდება და სულგუნი, ყველი, თუ სხვა პროდუქტები დედაქალაქში საკმაოდ პოპულარულია, თუმცა, აქ, ადგილზე, ბევრმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ჩვენი მიზანიც ეს იყო, რომ მეწარმეები თანარაიონელებისთვის გაგვეცნო და ბევრი გაოცებული დარჩა იმდენად კარგი პროდუქცია ნახა ადგილზე,“ - ამბობს გამგებელი.

ადგილობრივი მეწარმის, ბექა გონაშვილის თქმით, ღონისძიების მიზანი, ადგილობრივი მეწარმეების წახალისება და საზოგადოებისთვის მათი გაცნობაა.

„ჩვენ გვაქვს ცხოველების საკვების საწარმო და ასევე ვაკეთებთ ხელოვნურ განაყოფიერებას ცხოველებში - ძროხაში, ღორში და ა.შ. ეს ჯიშები ჩვეულებრივთან შედარებით საკმაოდ დიდი იზრდება. ასევე ვაწარმოებთ საკვებს ფრინველებისა და ცხოველებისთვის. რაც შეეხება მოთხოვნას, მინდა გითხრათ, რომ ყოველთვიურად 10-15%-იანი ზრდა გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობა შემოტანილი პროდუქტის ნაცვლად უპირატესობას ადგილზე წარმოებულს ანიჭებს. დღეს აქ გამოვფინეთ სწორედ ჩვენს მიერ ნაწარმოები პროდუქცია. ძალიან მნიშვნელოვანია ერთმანეთსაც გავაცნოთ რას ვაწარმოებთ და შემდეგ ფართო მასებამდე მივიტანოთ ინფორმაცია. გვინდა, რომ ამ გამოფენას ტრადიციის სახე მივცეთ. იმედია, სხვა რაიონებიც გადაიღებენ ამას და უფრო მეტად დაუჭერენ მხარს ადგილობრივ წარმოებას“, - განაცხადა ბექა გონაშვილმა.

ღონისძიების დასასრულს დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრმა სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები გამოავლინა.

**პური**

I ადგილი - ზაზა ჯანაშვილი (ხორნაბუჯი)

II ადგილი - ჟუჟუნა არაბული (გამარჯვება)

III ადგილი - ლია ჯვარშეიშვილი (საბათლო)

**ღვინო**

საუკეთესო საფერავი - ნოდარ ბაღაშვილი (არბოშიკი)

თეთრი გლეხური - არონ მოსულიშვილი (ოზაანი)

ქარხნული რქაწითელი - შპს „ზედაშე“ (ხორნაბუჯი)

წითელი ალექსანდროული - ზეზვა მარტიაშვილი (ქვემო ქედი)

დაძველებული ღვინო - გულო ნადირაშვილი (სამთაწყარო)

ორიგინალური „კაბერნე“ - გოჩა ანთაური, (არხილოსკალო)

ბიოლოგიურად სუფთა ღვინო - დავით ბიკაშვილი (არბოშიკი)

საუკეთესო სუფრა - არხილოსკალო და ზემო მაჩხაანი; ხოლო საუკეთესო ეთნოგრაფიული კუთხე - კოლეჯი „აისი“.

ქორეოგრაფიაში საუკეთესოდ დასახელდა ფიროსმანის და სამთაწყაროს მოცეკვავეთა ანსამბლები; საუკეთესო სადებიუტო გამოსვლა ჰქონდა ანსამბლ „შირაქის“ პატარა აღსაზრდელებს. საუკეთესო ინსტრუმენტალური შესრულება მედოლე ბიჭებმა აჩვენეს სამთაწყაროდან, ასევე ოზაანიდან ხალხურ საკრავთა ანსამბლმა და არხილოსკალოდან საუკეთესო ინსტრუმენტალისტებმა. რაც შეეხება ვოკალს, საუკეთესო იყო გელა გველუკაშვილის ხელმძღვანელობით, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკოლის გუნდი, დალი ელისაშვილის გუნდი „მანდილი“ და ახლადშექმნილი ტრიო „ცეროდენა“.

ილია მარტყოფლიშვილი



## გასწორება



გაზეთ „შირაქის“ 21-28 მაისის №19-ში გამოქვეყნებულ წერილში „ზეპირსიტყვიერად ნათქვამი სიბრძნე ცხოვრებისა“, მოწოდებული არასწორი ინფორმაციის საფუძველზე, დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა. მე-3 სვეტის პირველ აბზაცში ნათქვამია, რომ მოსე ქურხულიშვილს არ ჰყავდა შვილები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. რედაქციამ გაარკვია, რომ, სინამდვილეში, მოსე ქურხულიშვილს ჰყავდა 3 შვილი: შიო, ნორა და ანიკო. შიო გარდაიცვალა, მაგრამ ქალიშვილები დღესაც, თავიანთ ოჯახებთან ერთად, ქალაქ თბილისში ცხოვრობენ. ხუთი შვილიშვილი და შვილთაშვილები სიამაყით ინახავენ სახელოვანი წინაპრის ხსოვნას. აქვე გთავაზობთ მოსე ქურხულიშვილის პორტრეტს, რომელიც წინა ნომერში ვერ მოხვდა.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 30.05 | | სამშაბათი 31.05 | | ოთხშაბათი 01.03 | | ხუთშაბათი 02.06 | | პარასკევი 03.06 | | შაბათი 04.06 | | კვირა 05.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 19 ° | 16 ° | 18 ° | 16 ° | 18 ° | 17 ° | 16 ° | 15 ° | 18 ° | 17 ° | 22 ° | 19 ° | 23 ° | 19 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.